ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარეს ბატონ გიორგი ალიბეგაშვილს

ბატონო გიორგი,

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი"-ს 88-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, წარმოგიდგენთ დიდუბის რაიონის სამაჟორიტარო ოლქში, ჩემს მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშს .

დანართი: 13 ფურცელი.

პატივისცემით,

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის
"ქართული ოცნება - მრეწველები" თავმჯდომარე,
დიდუბის რაიონის მაჟორიტარი წევრი ვლადიმერ ძნელაძე

3.

ქალაქ თბილისის საკრებულოს აპარატის
საქმისწარმოებაში მიღებულია
ფურცლების რაოდენობა 14 ფურცელი
№10/17624 31.10.16

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დიდუბის რაიონის მაჟორიტარი წევრის, „ფრაქცია მრეწველები“ თავმჯდომარის და საკრებულოს ბიუროს წევრის

ვლადიმერ ძნელაძის ანგარიში

2016წელი

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დიდუბის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატის ვლადიმერ ძნელაძისა და მისი ბიუროს მუშაობის შესახებ (იანვარი-ოქტომბერი)

ინფორმაცია დეპუტატის საქმიანობის შესახებ

დიდუბის რაიონის სამაჟორიტარო ოლქი მოიცავს დიდუბის რაიონსა და ჩუღურეთის რაიონის მცირე ნაწილს (შალიბაშვილის ხიდიდან-მარჯანიშვილის მეტრომდე). დიდუბის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატის ვლადიმერ ძნელაძის და გამგებლის ირმა ზავრადაშვილის წარმატებული მუშაობის და მონდომების შედეგად 2016 წლის რაიონის ბიუჯეტი შეადგენს 17 280 832 ლარს.

ბიუროს მუშაობა

საკრებულოს დიდუბის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატის ვლადიმერ ძნელაძის ბიუროში მოქალაქეთა მიღება მიმდინარეობს ყოველდღიურად.ყოველ ოთხშაბათს მაჟორიტარი უშუალოდ ხვდება მოქალაქეებს, ისმენს მათ პრობლემებს, ეცნობა მათ მიერ მოწოდებულ დოკუმენტაციას, განიხილავს და რეაგირებისთვის გადასცემს შესაბამის სტრუქტურებს. ბიუროს საქმიანობის სფეროები განისაზღვრება შემდეგი მიმართულებებით: ჯანდაცვა, სოციალური სფერო, ინფრასტრუქტურა, განათლება, კულტურა, სპორტი, ახალგაზრდობა და საზოგადოებრივი საქმიანობა.

მოქალაქეს წინასწარი შეთანხმების საფუძველზე შეუძლია კვირის ნებისმიერ სამუშაო დღეს, ქალაქის საკრებულოს შენობაში შეხვდეს მაჟორიტარ დეპუტატს.მოქალაქეებისთვის პრობლემების გადაწყვეტის პროცესი კანონმდებლობის შესაბამისად ხორციელდება, უწყებების ხელმძღვანელ პირებთან პირადი შეტყობინების თუ წერილობითი მიმართვის საფუძველზე.

2016 წლის იანვრიდან - 2016 წლის ოქტომბრამდე ბიუროში მიღებული იქნა 650-მდე მოქალაქე.

დეპუტატისა და ბიუროს თანამშრომლების ინიციატივით ბიუროში ვიწვევთ კომპეტენტურ ადამიანებს სხვადასხვა სფეროდან, ვმსჯელობთ იმ საკითხებზე, რისი მოგვარების კომპეტენციაც გააჩნია ადგილობრივ თვითმმართველობას. დეპუტატი მუდმივ კავშირზეა საბავშვო ბაღების,სკოლების დირექტორებთან და მათ პედაგოგიურ კოლექტივთან ,ეცნობა მათ პრობლემებსა და საჭიროებებს.

მაჟორიტარის ბიურო აქტიურად თანამშრომლობს სამოქალაქო ორგანიზაციებთან და მათთან ერთად მუდმივად იგეგმება სხვადასხვა აქტივობები. ჩვენი ძირითადი პარტნიორი ორგანიზაციებია „ბავშვი და გარემო", „პირველი ნაბიჯი", „კარიტასი საქართველო", კავშირი "მშობლების თანადგომა" და ორგანიზაცია „ საქართველოს ქალები მშვიდობისათვის".

მოქალაქეთა საჭიროებებიდან გამომდინარე დეპუტატის შუამდგომლობის დაყენება და კორდინირებული მუშაობა ხდება შემდეგ უწყებებთან: თბილისის მერიის საქალაქო სამსახურები, დიდუბის რაიონის გამგეობა, ჩუღურეთის რაიონის გამგეობა, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო, დიდუბე-ჩუღურეთის სოციალური მომსახურების ცენტრი, თბილისის საბავშვო ბაღების მართვის სააგენტო, თბილისის განვითარების ფონდი, ფეხბურთის ფედერაცია, შ.პ.ს „ყაზტრანსგაზი", შ.პ.ს „საქართველოს რკინიგზა" , ს.ს „თელასი" და სხვა.

ინფრასტრუქტურა

დიდუბის რაიონში განხორციელებული ინფრასტრუქტურული სამუშაოები

დიდუბის რაიონში განხორციელებული ინფრასტრუქტურული კეთილმოწყობის სამუშაოები:

- საცხოვრებელი სახლების ეზოებში წყალსადენ-კანალიზაციის და სანიაღვრე ქსელების აღდგენა-შეკეთების სამუშაოები ჩატარდა - 19 მისამართზე;
- არსებული უსაფრთხოების მოაჯირების აღდგენა-შეკეთების სამუშაოები ჩატარდა- 6 მისამართზე;
- არსებული სკვერების აღდგენა-შეკეთების სამუშაოები განხორციელდა - 34 მისამართზე;
- არსებული სპორტული მოედნების აღდგენა-შეკეთების სამუშაოები განხორციელდა - 12 მისამართზე;
- ახალი სპორტული მოედნების მოწყობა მოხდა - 1 მისამართზე;

- საბავშვო სათამაშოების (ატრაქციონების) შეძენა-მონტაჟის და სათამაშო მოედნების მოწყობა - 5 მისამართზე;
- ახალი სკვერების მოწყობა განხორციელდა - 4 მისამართზე;
- ახალი მოაჯირების მოწყობა - 8 მისამართზე;
- ტრენაჟორების მოწყობა - 8 მისმართზე;

კაპიტალურად გარემონტდა აგლაძისა და თევდორე მღვდლის ქუჩები.

ჯანდაცვა და სოციალური სფერო

მოსახლეობის მედიკამენტოზური და ოპერაციული უზრუნველყოფა

მოქალაქეები, რომლებიც მოგვმართავენ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული საკითხებით , ბიურო უზრუნველყოფს მათ სრული მხარდაჭერით. მოქალაქეთა კონსულტირება და შემდგომში შუამდგომლობის დაყენება ხდება ჩვენი კომპეტენციისა და ქ.თბილისის მერიის შესაბამისი პროგრამებით გათვალისწინებული წესის შესაბამისად. ამ ეტაპზე ჩვენი შუამდგომლობის საფუძველზე დაფინანსდა 270-მდე პირის მედიკამენტოზური და 80-მდე პირის ოპერაციული მკურნალობა .

სოციალურ სტატუსთან დაკავშირებული საკითხები

მოქალაქეები, რომლებიც მაჟორიტარს მიმართავენ სოციალური სტატუსის მინიჭების, აღდგენის ან სოციალური მომსახურების პროგრამით გათვალისწინებული სერვისების მოთხოვნის შესახებ, ბიურო უზრუნველყოფს მათ ინფორმირებულობას. ვარკვევთ იმ შესაძლო დაბრკოლებებს, რაც გახდა მოქალაქისთვის ე.წ. მაღალი ქულების მიღების ან სოციალური სტატუსის შეჩერების საფუძველი.

- სოციალური სტატუსის საკითხებთან დაკავშირებით გაწეულია-35 შუამდგომლობა.

შშმ პირების ეტლებით და მედიკამენტებით უზრუნველყოფა

დიდუბის მაჟორიტარის ვლადიმერ ძნელაძის ბიუროსა და საერთაშორისო ასოციაციის "საქართველოს ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვის" თანამშრომლობის შედეგად, მუდმივად ხდება შშმ პირების უზრუნველყოფა ინვალიდის ეტლებით. დიდუბის რაიონის ბიუროს თანამშრომლებმა გაიარეს ტრეინინგი, რომელმაც მოგვცა საშუალება მოვახდინოთ შშმ პირების შემოწმება, მათთვის ეტლის ტიპის განსაზღვრა და საჭირო დოკუმენტაციის მომზადება. ბიურო ასევე უზრუნველყოფს შშმ პირებისათვის ეტლების სახლში მიტანას, მორგებას და გადაკეთების დაფინანსების შუამდგომლობას. რაც შეეხება მათი მედიკამენტებით უზრუნველყოფას, ბიუროს თანამშრომლები მუდმივად ვცდილობთ არ შევუქმნათ მათ ბიუროკრატიული ბარიერი და მაქსიმალურად მცირე ვადებში ვუგვარებთ წამლებისა და რეაბილიტაციის საკითხებს.

საგანმანათლებლო და ახალგაზრდული აქტივობები

მაჟორიტარი დეპუტატი ხშირად სტუმრობს დიდუბის რაიონში არსებულ სკოლებს და ბაგა-ბაღებს, იღებს ინფორმაციას მათთან არსებული პრობლემების შესახებ და შემდგომში კომპეტენციის ფარგლებში ეხმარება პრობლემური საკითხების მოგვარებისათვის გზების ძიებაში და შესაბამის ორგანოებთან შუამდგომლობის დაყენებაში.

მიმდინარე წელს ეროვნულ მედიაპროექტ "ეტალონის" გამარჯვებულები დიდუბის 166-ე საჯარო სკოლისა და კერძო სკოლა „სადუნის" მოსწავლეები გახდნენ. დიდუბის რაიონის მაჟორიტარმა წევრმა ვლადიმერ ძნელაძემ და დიდუბის რაიონის გამგებელმა ირმა ზავრადაშვილმა გამარჯვებულ მოსწავლეებს საკრებულოში უმასპინძლეს, თამარ მეფის სახელობის დარბაზში გამოფენილი ნამუშევრები დაათვალიერეს და თვითმმართველობის მნიშვნელობაზე ისაუბრეს.

ვლადიმერ ძნელაძემ მონაწილეობა მიიღო 24-ე საჯარო სკოლის მიერ ორგანიზებულ ტრადიციულ კონკურსში „ვკითხულობთ რუსთაველს", რომელიც წელს საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში გაიმართა. გამარჯვებულები დიდუბისა და ჩუღურეთის რაიონის მაჟორიტარებმა საკრებულოში მიიპატიჟეს და „ჯინო ფერედაისის" გასართობი ცენტრის ვაუჩერები აჩუქეს.

ბავშვთა დაცვის დღესთან დაკავშირებით ვლადიმერ ძნელაძემ საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილესთან გიორგი ტყემალაძესთან ერთად დიდუბის რაიონში მდებარე სკოლის „საუნჯე" 50-მდე მოსწავლეს მთაწმინდის პარკში უმასპინძლა.

სპორტული აქტივობები

მოგეხსენებათ,რომ მესამე წელია დიდუბის რაიონის მაჟორიტარმა წევრმა დააფუძნა და პატრონაჟის ქვეშ ჰყავს საფეხბურთო კლუბი "დიდუბე 2014". ამ ეტაპზე კლუბში 170 ბავშვი ირიცხება. ვითვალისწინებთ იმას, რომ მშობლების უმეტეს ნაწილს არ გააჩნია საშუალება ბავშვების სპორტულ წრეებზე შესაყვანად, სწორედ ამიტომ, სექცია არის უფასო. ბიუროს ინიციატივითა და ე.წ. ელიავას ბაზრობის დირექციასთან თანამშრომლობით ბაზრობის ტერიტორიაზე მოხდა არსებული საფეხბურთო მოედნის რეაბილიტაცია. დამონტაჟდა განათება, შემოიღობა სტადიონი და აღიჭურვა საჭირო ინვენტარით, მოეწყო გადახურული ტრიბუნა და თანამედროვე გასახდელი ნაგებობა. დღემდე გუნდმა ძალიან დიდ წარმატებებს მიაღწია და მუდმივად თამაშობს ლიდერის პოზიციებზე.

გარდა საფეხბურთო აქტივობებისა ბავშვები დადიან ექსკურსიებსა და კინო ჩვენებებზე. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის დახმარებით კლუბმა „დიდუბე 2014" საზაფხულო სპორტული შეკრება ჩაქვში გაიარა. გუნდს მუდმივად მხარში უდგას ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების სამსახური.

დეპუტატის ბიურო და არასამთავრობო ორგანიზაციები

საქართველოს კარიტასი

„საქართველოს კარიტასი" 1994 წლიდან მხარს უჭერს და ემსახურება საქართველოს მოსახლეობას და მუშაობს სამი ძირითადი მიმართულებით: ჯანდაცვა და სოციალური დახმარება, ბავშვები და მოზარდები, განვითარება და გადაუდებელი დახმარება. „საქართველოს კარიტასისა" და დიდუბის რაიონის მაჟორიტარის ვლადიმერ ძნელაძის თანამშრომლობის შედეგად „შინმოვლის" პროგრამასთან დაკავშირებით ქ.თბილისის რაიონულ მუნიციპალიტეტებში ჩატარდა ინფორმაციული ტიპის სამუშაო შეხვედრები. „შინმოვლის" სერვისი არ ფინანსდება ადგილობრივი მუნიციპალიტეტების ბიუჯეტიდან, სწორედ ამიტომ ორგანიზაცია მზად არის შევიდეს თვითმმართველობებთან პარტნიორულ ურთიერთობაში და აღნიშნული საჭიროებების მქონე ადამიანების დამისამართება ადგილობრივმა მუნიციპალიტეტმა მოახდინოს „საქართველოს კარიტასთან". ორგანიზაციას პატრონაჟის ქვეშ აყავს საჭიროების მქონე პირი და ახდენს მათ უზრუნველყოფას ორგანიზაციაში არსებული პროგრამების შესაბამისად. „შინმოვლა" ითვალისწინებს პაციენტისთვის სამედიცინო და სოციალური სერვისების მიწოდებას სახლის პირობებში. პროგრამის არსია ლოგინს

მიჯაჭვული პაციენტების უზრუნველყოფა სამედიცინო დახმარებით (პრევენცია, დიაგნოსტიკა, მკურნალობა, რეაბილიტაცია, ჰიგიენური მოწესრიგება), ფსიქო-სოციალური დახმარება და პაციენტის უზრუნველყოფა დამხმარე საშუალებებით (ინვალიდის ეტლი, ყავარჯნები და ა.შ.).

აღნიშნულმა საკითხმა დიდი დაინტერესება გამოიწვია. ამ თემის დეტალებზე სასაუბროდ დიდუბის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატი და ორგანიზაციების წარმომადგენლები სხვადასხვა ტელევიზიებმა მიიწვიეს.

დეპუტატის ბიურო და ორგანიზაცია „ბავშვი და გარემო"

ორგანიზაცია „ბავშვი და გარემო" მდებარეობს დიდუბის რაიონში. ამჟამად ორგანიზაციის მიერ გაწეული სერვისებით სარგებლობს 70 სოციალურად დაუცველი და სპეციალური საჭიროებების მქონე ბავშვი.

დიდუბის რაიონის მაჟორიტარის ბიურო აღნიშნულ ორგანიზაციასთან მუდმივად თანამშრომლობს,რათა პრობლემური საკითხები დროულად იქნეს მოგვარებული. ვლადიმერ ძნელაძის შუამდგომლობის საფუძველზე საქართველოს გაერთიანებული წყლის კომპანიამ „GWP" ბავშვთა ორგანიზაციას 10 000 ლარიანი წყლის ვაუჩერი გამოუყო. გაწეულმა დახმარებამ ორგანიზაციას "ბავშვი და გარემო" საშუალება მისცა არსებული სახსრები მიემართა სხვა მნიშვნელოვანი საჭიროებებისათვის. მაჟორიტარი დეპუტატის შუამდგომლობითა და პასუხისმგებლობით, მერიის მიერ ორგანიზებულ საზაფხულო ბანაკში გაიგზავნა 15 რთულად აღსაზრდელი მოზარდი,რომელთაც საშუალება მიეცათ სრულად ინტეგრირებულიყვნენ სრულფასოვან ახალგაზრდულ ცხოვრებაში. ბანაკის ლიდერები აღნიშნავდნენ, რომ ბავშვები გამოირჩეოდნენ კარგი ყოფაქცევითა და ღონისძიებებში აქტიური ჩართულობით, რაც იმას ადასტურებს, რომ ბავშვებისთვის მიცემულმა შესაძლებლობამ კარგი შედეგი გამოიღო.

ორგანიზაციის "ბავშვი და გარემო" კეთილმოწყობასა და გამწვანების სამუშაოებს საჭიროებდა. წინა წლის ანგარიშში ჩვენ ეს საკითხი მოსაგვარებელ პრობლემად დავტოვეთ, ამ დროისთვის კი აღნიშნული პრობლემა გადაჭრილია.ეზოს მოწყობისათვის საჭირო სამუშაოები ქართულ-პოლონურმა კომპანიამ ,,აგრომაქს დეკორი" განახორციელა.პროექტის განხორციელებისათვის პოლონეთის საელჩოს მხრიდან გამოიყო 30 000 ევრო. ასევე ვლადიმერ ძნელაძის შუამდგომლობით და დიდუბის გამგეობის მხარდაჭერით ცენტრის ტერიტორიაზე სპეციალური საჭიროებების მქონე ბავშვებისთვის მოეწყო ატრაქციონები, დაიგო გზის საფარი და კეთილმოეწყო სტადიონი.

ორგანიზაცია „ბავშვი და გარემო“ და დიდუბის მაჟორიტარის ბიუროს თანამშრობლობის პერიოდში ბევრი პრობლემური საკითხი დაისვა,თუმცა შეგვიძლია ვთქვათ,რომ ამ დრომდე არსებული პრობლემების უდიდესი ნაწილი მოგვარებულია.

„პირველი ნაბიჯი“

დიდუბის რაიონის მაჟორიტარის ბიურო მეორე წელია თანამშრომლობს ორგანიზაცია „პირველ ნაბიჯთან“. ორგანიზაცია მუშაობს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვთა საჭიროებების მიმართულებით. ამ ეტაპზე ორგანიზაცია დახმარებას უწევს 300-მდე შშმ ბავშვს. "პირველი ნაბიჯისა“ და დიდუბის მაჟორიტარის ბიუროს ორგანიზებით, ქ.თბილისის საკრებულოსა და თვითმმართველობის სტრუქტურაში ჩატარდა სამუშაო შეხვედრები, სადაც მოხდა შეთანხმება სპეციალური საჭიროებების მქონე ბავშვებთან დაკავშირებული პრობლემების გადაჭრის გზების ძიებასა და თანამშრომლობის ფორმებთან დაკავშირებით.

ორგანიზაციის ტერიტორიაზე არსებული დაზიანებული ასფალტის საფარი ეტლით მოსარგებლე ბავშვებს წლებია საფრთხეს და სირთულეებს უქმნიდა. დიდუბის რაიონის მაჟორიტარის ბიუროს შუამდგომლობით, დიდუბის რაიონის გამგეობის მხარდაჭერითა და "Black Sea Group" -ის ხელმძღვანელობის დახმარებით, ახალ სასწავლო წელს ორგანიზაცია ბავშვებს მოასფალტებული ეზოთი და განახლებული სავალი ბილიკებით შეხვდა.

დიდუბის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატის საქმიანობა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში

2016 წლის იანვრიდან - ოქტომბრამდე გაიმართა საკრებულოს და ბიუროს 25 სხდომა. დიდუბის რაიონის მაჟორიტარმა დეპუტატმა მონაწილეობა მიიღო 21 სხდომაში.

მაჟორიტარი დეპუტატი აქტიურად არის ჩართული საკრებულოს კომისიების მუშაობაში.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიამ 2016 წლის 1 იანვრიდან 2016 წლის 30 სექტემბრის ჩათვლით 15 სხდომა ჩაატარა, რომელზეც განხილული იყო 31 საკითხი.

ვლადიმერ ძნელაძე დაესწრო კომისიის 14 სხდომას და აქტიურად იმუშავა მრავალ მნიშვნელოვან საკითხზე, მათ შორის გამოვყობთ შემდეგ საკითხებს:

1. ავადობის პრევენცია და ჯანსაღი ფიზიკური განვითარების პროგრამა ქ. თბილისის ბაგა-ბაღებში.
2. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გიორგი ალექსიძის სახელობის კამერული დასი-თბილისის თანამედროვე ბალეტის'' დაფუძნების შესახებ.
3. 1.,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ'' ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებუ;ოს 2015 წლის 26 დეკემბრის #32-127 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ. (#04/3283);
4. 1.„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის საქალაქო სამსახურის პროგრამებისა და ქვეპროგრამების განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ (N04/4778; 14.03.2016);
   2."ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მახათას საქალაქო სასაფლაო - 1-ისთვის პანთეონის სტატუსის მინიჭების შესახებ“ (N04/4112; 4.03.2016).
5. 1. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის ჩართულობა თბილისის ბაგა-ბაღების მონიტორინგის პროცესში;
   2. სსიპ ქ. თბილისის N54 საჯარო სკოლისთვის სოფიკო ჭიაურელის სახელის მინიჭების შესახებ (04/21965).
   3. სსიპ ქ. თბილისის N16 საჯარო სკოლისთვის დავით სარაჯიშვილის სახელის მინიჭების შესახებ (06/3254).

6. 1. ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 26 დეკემბრის #32-127 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ. (#04/6855);
2. ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის შესახებ. (04/3827) ;
3. ქ. თბილისის ილია ჭავჭავაძის ლიტერატურულ-მემორიალური მუზეუმის'', ა(ა)იპ ,,ზაქარია ფალიაშვილის მემორიალურუ სახლ-მუზეუმის'', ა(ა)იპ ,,ქ.თბილისის ნიკოლოზ ბარათაშვილის მემორიალური სახლ-მუზეუმის, ა(ა)იპ ქ. თბილისის მიხეილ ჯავახიშვილის მემორიალური ბინა-მუზეუმის, ა(ა)იპ ,,ქ.თბილისის გალაკტიონ ტაბიძის მემორიალური ბინა-მუზეუმის'', ა(ა)იპ ქ.თბილისის ვახტანგ ჭაბუკიანის მემორიალური ბინა-მუზეუმის'', ა(ა)იპ ,,ქ.თბილისის მერაბ კოსტავას მემორიალური სახლ-მუზეუმის'', ა(ა)იპ ქ.თბილისის სოსო წერეთლის მემორიალური ბინა-მუზეუმის და ა(ა)იპ ,,ქ.თბილისის თოჯინების მუზეუმის'' რეორგანიზაციის (შერწყმა/გაერთიანება) შედეგად ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ ,, მუზეუმიების გაერთიანების'' შექმნის თაობაზე თანხმონის მიცემის შესახებ (04/6857);

7. 1. ,,ქ. თბილისში ლიტერატურისა და ხელოვნების კონკურსის ,,თბილისი''-ს ჩატარების შესახებ'' ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 8 მაისის N 11-41 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;
3. ,,ქ. თბილისში ლიტერატურისადა ხელოვნების კონკურსი ,,თბილისი'' ჩატარებისთვის განსახორციელებელ ღონისძიებათა შესახებ'' ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 8 მაისის N 128 განკარგულებაში ცვლილების და დამატების შეტანის შესახებ.

8. ა(ა)იპ თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს 2016 წლის პირველ კვარტალში შესრულებული სამუშაოს ანგარიშის განხილვა.

9. 1.,,საქართველოს დედაქალაქის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფწროებად განსაზღვრული ავტობუსებით (M3 კატეგორია) და მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას, საბაგირო გზით "რიყე-ნარიყალა'' მგზავრთა გადაყვანისას მოქალაქეთა ცალკეული კატეგორიების შეღავათიანი მგზავრობის შესახებ'' ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 მარტის დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე'',
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა (04/10212);
2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის 2016 წლის პირველ კვარტალში შესრულებული სამუშაოს ანგარიშის განხილვა.

10. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 26 დეკემბრის #32-127 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ (#04/11111; 17.06.2016).
11. სსიპ ქ. თბილისის N 113 საჯარო სკოლისთვის ცოტნე დადიანის სახელის მინიჭების შესახებ (06/8086)

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიამ 2016 წელს ჩაატარა 18 კომისიის სხდომა ,საიდანაც ვლადიმერ ძნელაძე 17 სხდომას დაესწრო.

საკრებულოს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომებზე მოქალაქეებისათვის უმნიშვნელოვანესი საკითხები განიხილებოდა.ჯანდაცვისა და სოციალური პრობლემების მოგვარება საკრებულოს წევრებისათის მთავარი ამოცანაა.

სხდომებზე 20 საკითხი განიხილეს,მათ შორის უმნიშვნელოვანესია:

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში M2 კატეგორიის ავტობუსებით ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას, შეღავათით მოსარგებლე მოქალაქეთა მგზავრობის ფასის ანაზღაურების შესახებ (04/366 12.01.2015).
2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 29 დეკემბრის #33-129 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ" (04/991 20.01.2016).
3. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 29 დეკემბრის #33-129 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ" (04/1296 25.01.2016).
4. ქ. თბილისის ბაგა-ბაღებში ავადობის პრევენციისა და ჯანსაღი ფიზიკური განვითარების პროგრამის საჭიროებასთან დაკავშირებული საკითხები.
5. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 26

დეკემბრის #32-127 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ". (04/3283 22 თებერვალი 2016წ.)

6. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 29 დეკემბრის #33-130 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ" (04/3925 01.მარტი 2016წ)
7. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 29 დეკემბრის #33-129 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ" (04/4943 15 მარტი 2016წ.)
8. სათანადო საცხოვრებლის უფლების შესახებ საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიშის (14.01.16, #06/699) განხილვა.
9. 1. ორხევის დასახლება, ჩანტლაძის 4/2, ყოფილი ავტობაზა „ტურისტის" შენობაში მცხოვრები დევნილი და სოციალურად დაუცველი მოქალაქეების განცხადების (6190/31.03.16) განხილვა.

   2. შპს „თბილისის კარდიოლოგიური საავადმყოფოს" დირექტორის თემურ შენგელიას განცხადებების (07/5294; 07/4992) განხილვა.

10. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 29 დეკემბრის #33-129 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ. (04/6990 12. 04. 2016წ.)
11. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 29 დეკემბრის #33-129 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ (04/9161 18 მაისი 2016 წელი) პროექტის განხილვა.
12. „საქართველოს დედაქალაქის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (M3 კატეგორია) და მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას, საბაგირო გზით „რიყე-ნარიყალა" მგზავრთა გადაყვანისას მოქალაქეთა ცალკეული კატეგორიების შეღავათიანი მგზავრობის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 მარტის №6–25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (04/10212 03.06.2016წ.)

13. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 26 დეკემბრის #32-127 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების თაობაზე (04/11111 17 ივნისი 2016 წელი) პროექტის განხილვა.
14. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ,,სამედიცინო და სხვა სოციალური საჭიროებების დახმარების ღონისძიებების" ქვეპროგრამის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ".
15. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 29 დეკემბრის №33-129 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ განხილვა. (04/17808 10.10.2016წ.)

2016 წლის საპილოტე პროგრამები

ორთოპედიულ დაავადებათა სკრინინგი და აღდგენითი თერაპია

პროგრამა გულისხმობს ორთოპედიული დაავადებების (სკოლიოზი, ბრტყელტერფიანობა) სკრინინგს, გამოვლენილ შემთხვევებში აღდგენითი თერაპიის (სამკურნალო მასაჟი, სამკურნალო ვარჯიში, ფიზიოთერაპია, საჭიროების შემთხვევაში R-გრაფია) დაფინანსების უზრუნველყოფას. 70000-მდე სარეიტინგო ქულის მქონე პირებს უფინანსდებათ სრული კურსი. ვაუჩერის ღირებულება 244 ლარი, ხოლო ყველა სხვა პირს ვაუჩერის 70%. (ბიუჯეტი 500 000).

ფსიქიკური ჯანმრთელობის სათემო მომსახურება

პროგრამა გულისხმობს ქცევითი და ფსიქიკური აშლილობის მქონე პირთათვის მულტიდისციპლინური გუნდის მიერ სათემო მომსახურების მიწოდების დაფინანასებას. პროგრამის მოსარგებლეებს წარმოადგენენ ფსიქიკური ან/და

ქცევითი აშლილობის მქონე ქ.თბილისის მუნიციპალიტეტში რეგისტრაციის მქონე საქართველოს მოქალექეები. (ბიუჯეტი 250 000).

ადრეული ძუძუს კიბოს მკურნალობის დაფინანსება

პროგრამის ფარგლებში მოხდება პაციენტთათვის დანიშნულების შესაბამისად ჰერცეპტინის მაქსიმუმ 1 წლიანი კურსისათვის საჭირო რაოდენობის მერიის მხრიდან დაფინანასება. პროგრამით მოსარგებლეს წარმოადგენს 2016 წლის 1იანვრის მდგომარეობით ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მოქმედი რეგისტრაციის მქონე საქართველოს მოქალაქეები, რომელთაც უტარდებათ ნეოადიუვანტური/ადიუვანური მკურნალობა.